


რეცენზია REVIEW

რეცენზია ჯემალ ბერიძის მონოგრაფიაზე - „საქართველო - თურქეთის ურთიერთობები 1992-2012 წლებში (სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ - ეკონომიკური ასპექტები), ბათუმი, 2020.



მონოგრაფიაში კომპლექსურადაა შესწავლილი საქართველო-თურქეთის სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ - ეკონომიკური ურთიერთობები 1992-2012 წლებში. ნაჩვენებია ამ ურთიერთობათა დინამიკა დაწყებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან.

თურქეთის რესპუბლიკა და საქართველო მეზობელი, მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა. საუკუნეთა მანძილზე მათი ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან (რომლის სამართალმექანიზმებიდან დღევანდელი თურქეთი) არასწორხაზოვნად ვითარდებოდა: იყო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების, სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების პერიოდები. დღეს უკვე ვითარება შეცვლილია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო აღიარა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და ქვეყნისთვის მძიმე ვითარებაში დახმარების ხელი გამოუწოდა.

თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობა საქართველოსთან გვიჩვენებს თურქეთის უახლოესი პერიოდის საგარეო პოლიტიკის ხედვებს ისეთი საკითხების ირგვლივ, რომლებიც დღემდე აქტუალურია თურქეთის პოლიტიკისთვის. ესენია: ქართულ-თურქ-

ული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები სხვადასხვა პერიოდში; საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქართულ-თურქულ ურთიერთობა; თურქეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკა და მისი შედეგები საქართველოს უსაფრთხოებაზე, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასა და სხვა საკითხებზე.

ჯემალ ბერიძის მონოგრაფია, მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი დიდი შენაძენია სტუდენტებისთვის, სპეციალისტებისთვის და დაინტერესებული მკითხველისთვის.

**პროფესორი ემზარ მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**